ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №24

07 მარტი , 2019 წელი

14:00 საათი

(ყიფიანის სახ. სხდომათა დარბაზი)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. ფრიდონ ინჯია;
6. ოთარ გრიგოლია.

მოწვეული სტუმრები: ააიპ - თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის დირექტორი გოჩა მინდიაშვილი ,და მოადგილე ნინო ბისეიშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის 2016-2018 წწ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.
გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოწვეულმა სტუმარმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინა ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის 2016-2018 წწ. შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მუნიციპალური თავშესაფრის 2016-2018 წწ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად შეიქმნა თავშესაფრის ადმინისტრაციაში შემავალი სამსახურების შიდა მომსახურების სტანდარტის დოკუმენტი. მომზადდა და დაინერგა შეფასების ინსტრუმენტები ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკებისათვის.

შეიქმნა თითოეული ბენეფიციარის პირადი საქმე. ბენეფიციართა შორის გამოიკვეთა მიზნობრივი ჯგუფები, შეფასებების შედეგად მოხდა საჭიროებების იდენტიფიცირება და თითოეული ბენეფიციარისათვის გაიწერა მომსახურების ინდივიდუალური გეგმა. შეიქმნა სხვადასხვა სარეაბილიტაციო ფსიქო-სოციალური, საგანმანათლებლო პროგრამები. მიმდინარეობს მუშაობა სპორტული, შემეცნებით-კულტურული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. დაინერგა და ხორციელდება თემატური ტრენინგები. მომსახურების მიმღებთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირად გადანაწილდა:

- 2016 წ. - 294 ბენეფიციარი;
- 2017 წ. - 219 ბენეფიციარი;
- 2018 წ. - 212 ბენეფიციარი.

საცხოვრისებში ხელშეკრულებით მცხოვრები უსახლკარო ოჯახები:

- ვარკეთილი - 43 ოჯახი (133 ბენეფიფიციარი);
- ორხევი - 23 ოჯახი (86 ბენეფიციარი);
- დიდი დიღომი-9 ოჯახი (38 ბენეფიციარი).

საცხოვრისებში ხელშეკრულების გარეშე მცხოვრები ოჯახები:

- ვარკეთილი - 9 ოჯახი (28 მაცხოვრებელი);
- დიდი დიღომი -15 ოჯახი (43 მაცხოვრებელი).

თავშესაფრის ძირითადი პერმანენტული სერვისებია:

ინდივიდუალური და ჯგუფური შეფასება და შემთხვევების მართვა, ინდივიდუალური ფსიქო-სოციალური სესიები, შრომითი თერაპია, ჯგუფური თერაპიული შეხვედრები ფსიქო-კორექციის მიზნით, ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიული შეხვედრები ემოციური განმუხტვის მიზნით. 2016-2018 წწ. განმავლობაში, თავშესაფრის ბენეფიციარებს, დღეში ორჯერადი კვების გათვალისწინებით, 2209-ჯერ მიეწოდათ 265 026 ბენეფიციარზე გათვლილი 380 385,02 ლარის ღირებულების საკვები. ლილოს მიუსაფართა თავშესაფარსა და სოციალურ საცხოვრისებში (დიდი დიღომი, ვარკეთილი, ორხევი) თვეში ერთხელ (ან/და საჭიროებისამებრ) ტარდება სანიტარული მომსახურება, კერძოდ დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია (2017-2018 წწ. - 7820 ლარი).

წარმოდგენილი ანგარიში დადებითად შეაფასეს კომისიის წევრებმა და იმსჯელეს სამომავლო გეგმებზე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე